

შპს „შვიდი“

2021 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება


შპს "შვიდი"

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	292135	976275	2174242	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3160219	3938807	4380154	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	557248	113980	292617	
მარაგები	6756583	5258692	4143432	3.1
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	6756583	5258692	4143432	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	454949	262042	106346	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	9145	11044	13673	
ძირითადი საშუალებები	2467399	1951889	1908171	3.2
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			178303	
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	13697678	12512729	13196938	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	2443	2179		
სავაჭრო ვალდებულებები	4393475	3854228	4249905	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	146537	15411	11047	3.3
საგადასახადო ვალდებულებები	23139	108483	225204	3.4
გამოუმუშავებელი შემოსავალი	609534	432249	122802	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	6114959	4689887	3154830	3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		1885493	1523993	3.5
მიღებული გრანტები			78000	
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	11290087	10987930	9365781	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	500000	500000	500000	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	1843905	1040132	2916732	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ მშობელი საწარმოს მფლობელების საკუთარი კაპიტალი	2343905	1540132	3416732	
არამაკონტროლებელი წილი	63686	-15333	414425	
სულ საკუთარი კაპიტალი	2407591	1524799	3831157	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	13697678	12512729	13196938	
სულ მოკლევადიანი აქტივები	7870167	10549796	11096791	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	8165527	9102437	7841788	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.11.2022 წ.

დირექტორი  მალხაზ ტვილდიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.


კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ნეტო ამონაგები	31159160	19962805	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	31126188	19956268	
- მომსახურების გაწევიდან	32972	6537	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
	-25042185	-15810576	3.6
გაყიდვების თვითღირებულება	6116975	4152229	
საერთო მოგება			
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-3508576	-3465393	3.7
დასაქმებულთა ანაზღაურება	-163707	-145626	3.7
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	22966	2543	
საპროცენტო შემოსავალი	-450112	-393008	
საპროცენტო ხარჯი	-188565	-138195	3.7
იჯარის ხარჯი	-2102246	-536927	3.7
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-6390240	-4676606	
სულ საოპერაციო ხარჯები			
საოპერაციო მოგება	-273265	-524377	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა		-127	
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების		-127	
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	1040482	-1506508	3.8
მიღებული დივიდენდები	115524	81549	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი			
	882741	-1949463	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან		-52941	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	882741	-2002404	
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებული მოგება (ზარალი)	803738	-1872755	
არამაკონტროლებელ წილეებზე მისაკუთვნიებული მოგება (ზარალი)	79003	-129649	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
მირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:	882741	-2002404	3.9
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი			
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებული მთლიანი შემოსავალი	803738	-1872755	
არამაკონტროლებელ წილეებზე მისაკუთვნიებული მთლიანი შემოსავალი	79003	-129649	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1524799	3831157	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-300000	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	51	-3954	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2407591	1524799	3.9

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.11.2022 წ.

დირექტორი



მალხაზ ტვილიძანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "შვიდი"


კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	55575	-960394
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-593139	-122564
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-143180	-127696
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-680744	-1210654
სავალუტო კურსის ეფექტი	-3396	12687
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	976275	2174242
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	292135	976275

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.11.2022 წ.

დირექტორი



მალხაზ ტვილდიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

**2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „შვიდი“ (შემდგომში – *კომპანია* ან *ჯგუფი*) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 1998 წლის 27 მაისს საბურთალოს რაიონის სასამართლოს N 5ა/4-1688 დადგენილებით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია – 211371638, იურიდიული მისამართი – საქართველო, ქ. თბილისი, ლ. გოთუას ქ. N 12.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები:

მალხაზ ტვილდიანი – 20%; სერგო ჩხაიძე – 5%; ნინო ორჯონიკიძე – 25%; ირაკლი ვაჩნაძე – 25%; ირაკლი მასხულია – 25%.

კომპანიას ჰყავს ერთი შვილობილი საწარმო – შპს „შვიდი ვაინ“ (ს/კ 405130889), რომლის კაპიტალში წილობრივი მონაწილეობა შეადგენს 85%-ს. დარჩენილი 15% ეკუთვნის ფიზიკურ პირს – მიხეილ მესხს.

ჯგუფში შემავალი ორივე კომპანია (სათავო და შვილობილი) დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.3. კომპანიის დირექტორია მალხაზ ტვილდიანი.

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა კვების პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ინგრედიენტების იმპორტი და რეალიზაცია. შვილობილი საწარმოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ყურძნისა და ღვინის დასამუშავებელი მასალების იმპორტი და რეალიზაცია.

მეკავშირე საწარმოები ჯგუფს არ ჰყავს.

1.5. 2021 წლის მდგომარეობით, ჯგუფში დასაქმებულ თანამშრომელთა რიცხოვნობა შეადგენდა 61 კაცს. თანამშრომელთა ნაწილი მუშაობს ორივე კომპანიაში.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, ჯგუფი წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, ჯგუფს არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი – დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. ჯგუფის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

ჯგუფის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის)

ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში – საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების, ასევე შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით – 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები

და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, რომლებიც მოგების გადასახადით იბეგრებიან „ესტონური მოდელის“ შესაბამისად, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2021 წელს: 1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. მარაგები:

ჯგუფის მარაგები 2021 წლის ბოლოს შედგებოდა:

შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი საქონელი (დამხმარე მასალები და ინვენტარი კვების მრეწველობისათვის) – 6 742 655 ლარი;

სარეკლამო მასალები და ნიმუშები – 10 531 ლარი;

საწვავ-საცხები მასალები – 1 625 ლარი;

სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი – 1 772 ლარი.

სულ – 6 756 583 ლარი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოფასება არ მომხდარა, რადგან ჯგუფი მიიჩნევს, რომ მისი ყველა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა 2021 წლის ბოლოს ლიკვიდურია (რეალიზებადია) თვითღირებულებაზე არანაკლებ ფასად.

3.2. ძირითადი საშუალებები:

ჯგუფის საადრიცხო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ისტორიული (თავდაპირველი) ღირებულება შეადგენდა:

2021 წლის ბოლოს – 3 463 982 ლარი.

2020 წლის ბოლოს – 2 786 664 ლარი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2021 წლის ბოლოს – 996 583 ლარი;

2020 წლის ბოლოს – 834 775 ლარი.

სულ 2021 წლის განმავლობაში დარიცხულმა ძირითადი საშუალებების ცვეთამ შეადგინა 161 808 ლარი, ხოლო 2020 წლის განმავლობაში დარიცხულმა ძირითადი საშუალებების ცვეთამ – 142 997 ლარი.

2021 წელს, ძირითადი საშუალებები არ გაყიდულა.

3.3. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ:

2021 წლის ბოლოს, კომპანიის ვალდებულება დასაქმებულ თანამშრომელთა წინაშე შეადგენდა **146 537** ლარს, რომელიც შედგებოდა:

სავალდებულო საპენსიო შენატანების გადახდის ვალდებულება საპენსიო სააგენტოში – 6 285 ლარი;

ანგარიშვალდებული პირების მიერ კომპანიის სახელით გაწეული ასანაზღაურებელი ხარჯები – 140 252 ლარი.

3.4. საგადასახადო ვალდებულებები:

31.12.2021 წ. მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა როგორც საგადასახადო დავალიანება საგადასახადო დავალიანება 23 139 ლარი (ნეტო) – შპს „შვიდში“, რომელიც ასახულია მუხლში „საგადასახადო ვალდებულებები“, ასევე საგადასახადო აქტივი 2705 ლარი (ნეტო) – შპს „შვიდი ვაინში“, რომელიც ასახულია მუხლში „სხვა მოკლევადიანი აქტივები“.

3.5. მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები:

ჯგუფის სასესხო ვალდებულებები როგორც 31.12.2021 წ., ასევე 31.12.2020 წ. მდგომარეობით, მთლიანად შედგებოდა „თიბისი ბანკიდან“ აღებული სესხებისაგან. სესხების ნაწილი აღებულია ლარში, ნაწილი – ევროში, ხოლო ნაწილი – აშშ დოლარში. 2021 წლის ბოლოს, „თიბისი ბანკის“ წინაშე არსებული სასესხო დავალიანება სულ შეადგენდა 100 000 ლარს, 1 329 034.94 ევროს და 438 410.39 აშშ დოლარს (ჯამური ეკვივალენტი ლარებში – **6 114 959** ლარი), ხოლო 2020 წლის ბოლოს „თიბისი ბანკის“ წინაშე არსებული სასესხო დავალიანება სულ შეადგენდა 1 339 587.58 ევროს და 361 904.83 აშშ დოლარს. სესხის პროცენტების დაფარვა ხდება ყოველთვიურად.

3.6. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2021 წელს, ჯგუფის ნეტო-ამონაგები იყო **31 159 160** ლარი, რომელიც შედგებოდა:

კვების მრეწველობისათვის და მეღვინეობა-მევენახეობისათვის განკუთვნილი საქონლის (მასალებისა და ინვენტარის) გაყიდვიდან მიღებული:

ექსპორტი – 829 740 ლარი;

საქართველოში – 30 296 448 ლარი;

საშუამავლო მომსახურება – 31 641 ლარი;

იჯარის მომსახურებიდან მიღებული – 1 331 ლარი.

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით და შეადგენს 25 042 185 ლარს.

3.7. საანგარიშგებო პერიოდის საოპერაციო ხარჯები:

ხელფასი – 3 482 392 ლარი;
სავალდებულო საპენსიო შესატანი (2%) – 26 184 ლარი;
ძირითადი საშუალებების ცვეთა – 161 808 ლარი;
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია – 1 899 ლარი;
ფართის იჯარა – 202 966 ლარი;
რეკლამის ხარჯები – 10 946 ლარი;
მარკეტინგული ხარჯები – 42 396 ლარი;
მოთხოვნების გაუფასურება – 1 542 712 ლარი;
საკანცელარიო ხარჯები – 3 977 ლარი;
ელექტროენერგია, გაზი, წყალი, დასუფთავება – 28 751 ლარი;
დაცვის ხარჯები – 6 246 ლარი;
საკომუნიკაციო და საფოსტო ხარჯები – 6 874 ლარი;
დაზღვევა – 22 918 ლარი;
საკონსულტაციო ხარჯები – 32 356 ლარი;
საგადასახადო ხარჯები – 20 002 ლარი;
საბანკო ხარჯები – 88 481 ლარი;
ა/მ საექსპლუატაციო ხარჯები, საწვავის ჩათვლით – 145 551 ლარი;
რემონტის ხარჯები – 16 853 ლარი;
სხვა საერთო-ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები – 119 782 ლარი.
სულ – 5 963 094 ლარი.

3.8. საანგარიშგებო პერიოდის სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები:

2021 წელს ჯგუფის სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები შედგება:
შელავთი საშემოსავლო გადასახადში პანდემიის გამო – 21 700 ლარი;
კრედიტორული დავალიანების კორექტირება – 48 476 ლარი;
სადაზღვევო კომპენსაცია – 8 709 ლარი;
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი – 45 780 ლარი;
საურავები – -7 732 ლარი;
სხვა არასაოპერაციო ხარჯები – -1 409 ლარი.
სულ – 115 524 ლარი.

3.9. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2021 წლის შედეგების მიხედვით, ჯგუფმა მიიღო მოგება **882 741** ლარი. ჯგუფის სათავე კომპანიას არ მიუღია გადაწყვეტილება მოგების განაწილების შესახებ.

შვილობილ კომპანიაში შპს „შვიდი ვაინში“ 2021 წლის განმავლობაში მოგების ახალი განაწილება ასევე არ მომხდარა (გრძელდებოდა 2020 წლის მოგების განაწილების შედეგად წარმოშობილი დივიდენდების გადახდა სათავე კომპანიისათვის).

გასული წლების შეცდომების გასწორებით გამოწვეული შედეგების გათვალისწინებით, 2021 წლის დეკემბრის ბოლოს მდგომარეობით ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 1 843 905 ლარს, ხოლო სულ საკუთარი კაპიტალი (არამაკონტროლებელი წილის ჩათვლით) – 2 407 591 ლარს.

3.10. სასამართლო დავები:

ჯგუფს 2021 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სასამართლო დავები არ ჰქონია. რამდენიმე სასამართლო დავა წარმოებდა ვადაგადაცხლებული დებიტორების მიმართ (რომელთა მიმართ სავაჭრო მოთხოვნები გაუფასურებულია 100%-ით).

3.11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020-2021 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2022 წელსაც. 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია სრულად დამარცხებული არ არის.

შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, ჯგუფს მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები არ შექმნია და ჯგუფი უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2022 წლის 1 იანვრიდან 21 ნოემბრამდე პერიოდში, ჯგუფის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2022 წლის 21 ნოემბერს ჯგუფის მენეჯმენტის მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.


შპს "შვიდი"

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	292135	976275	2174242	
საფაქრო და სხვა მოთხოვნები	3160219	3938807	4380154	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	557248	113980	292617	
მარაგები	6756583	5258692	4143432	3.1
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	6756583	5258692	4143432	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	454949	262042	106346	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდივლი				
სხვა არამატერიალური აქტივები	9145	11044	13673	
ძირითადი საშუალებები	2467399	1951889	1908171	3.2
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			178303	
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	13697678	12512729	13196938	
ვალდებულებები				
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	2443	2179		
საფაქრო ვალდებულებები	4393475	3854228	4249905	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	146537	15411	11047	3.3
საგადასახადო ვალდებულებები	23139	108483	225204	3.4
გამოუმუშავებელი შემოსავალი	609534	432249	122802	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	6114959	4689887	3154830	3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		1885493	1523993	3.5
მიღებული გრანტები			78000	
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	11290087	10987930	9365781	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	500000	500000	500000	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები	1843905	1040132	2916732	
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი				
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	2343905	1540132	3416732	
სულ მშობელი საწარმოს მფლობელების საკუთარი კაპიტალი	63686	-15333	414425	
არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	2407591	1524799	3831157	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	13697678	12512729	13196938	
სულ მოკლევადიანი აქტივები	7870167	10549796	11096791	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	8165527	9102437	7841788	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.11.2022 წ.

დირექტორი  მალხაზ ტვილდიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "შვიდი"


კონსოლიდირებული საქმედების შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ნეტო ამონაგები	31159160	19962805	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	31126188	19956268	
- მომსახურების გაწევიდან	32972	6537	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-25042185	-15810576	3.6
საერთო მოგება	6116975	4152229	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-3508576	-3465393	3.7
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-163707	-145626	3.7
საპროცენტო შემოსავალი	22966	2543	
საპროცენტო ხარჯი	-450112	-393008	
იჯარის ხარჯი	-188565	-138195	3.7
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-2102246	-536927	3.7
სულ საოპერაციო ხარჯები	-6390240	-4676606	
საოპერაციო მოგება	-273265	-524377	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა		-127	
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების		-127	
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაქრ. და სავალ. სახ. გადაფ.	1040482	-1506508	3.8
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	115524	81549	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	882741	-1949463	
მოგების გადასახადის ხარჯი		-52941	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	882741	-2002404	
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებული მოგება (ზარალი)	803738	-1872755	
არამაკონტროლებელ წილეებზე მისაკუთვნიებული მოგება (ზარალი)	79003	-129649	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	882741	-2002404	3.9
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებული მთლიანი შემოსავალი	803738	-1872755	
არამაკონტროლებელ წილეებზე მისაკუთვნიებული მთლიანი შემოსავალი	79003	-129649	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1524799	3831157	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-300000	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	51	-3954	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2407591	1524799	3.9

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.11.2022 წ.

დირექტორი



მაღლაზ ტვილდიაძე

თანხვლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "შვიდი"


კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	55575	-960394
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-593139	-122564
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-143180	-127696
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-680744	-1210654
სავალუტო კურსის ეფექტი	-3396	12687
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	976275	2174242
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	292135	976275

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.11.2022 წ.

დირექტორი



მალხაზ ტვილდიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.